აუტსაიდერმა ვერ გაუძლო

დონის როსტოვი. ასკ–ს სტადიონი. 14 ოქტომბერი.

ასკ (დონის როსტოვი) – “დინამო” (თბილისი) 2:3 (1:1).

ასკ: კუდასოვი (ბლიჩენკო), სეროსტანოვი, პანოვი, მოგილნი, ალექსანდროვი, ბონდარენკო (პლეშაკოვი), ი. ჩურკინი, ესკოვი, ვ. ჩურკინი, არუთინიანი, ციბინი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (ყიფიანი).

მსაჯი: ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები – 5:0.

რაც უფრო ახლოვდება ჩემპიონატის ფინიში, მით უფრო ცხადი ხდება, რომ როსტოვის არმიელებს საგაისოდ უმაღლესი ლიგის დატოვება მოუხდებათ. 14 ოქტომბრისთვის მდგომარეობის ხსნა თეორიულად ჯერ კიდევ შეიძლებოდა და ამ “თეორიის” პრაქტიკული განხორციელებისთვის გუნდს თავი არ უნდა დაეზოგა. უკან დასახევი გზა მასპინძლებს არ ჰქონდათ.

რთული ამოცანის წინაშე იდგნენ თბილისელებიც, რომლებსაც საბოლოოდ წამყვან ჯგუფში მოხვედრის შესაძლებლობა აქვთ. ეს გუნდს გაისად უეფა–ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას მისცემს.

სტუმრებმა ძალა და ენერგია არ დაიშურეს მატჩის მოგებისთვის და საწადელსაც მიაღწიეს, მაგრამ მაყურებელთა დიდი უმრავლესობა, რომელიც, რასაკვირველია, თავის გუნდს – არმიელებს უჭერდა მხარს, უკმაყოფილო წავიდა სტადიონიდან: როსტოველმა ფეხბურთელებმა ვერ ითამაშეს ისეთი მონდომებით და თავგანწირვით, რომ დაეძლიათ დინამოელთა წინააღმდეგობა. განსაკუთრებული პრეტენზიები გვაქვს მცველთა მიმართ, რომლებმაც ძალიან სუსტად ჩაატარეს მატჩი. ოთხი მცველიდან ვერ დავასახელებთ ვერც ერთს, რომელიც მოწოდების სიმაღლეზე მდგარიყო. თბილისელთა თავდამსხმელებმა, რომლებიც ბოლო ხანებში გამოირჩევიან მაღალი შედეგიანობით, კვლავ გამოიჩინეს თავი და სამჯერ დააწყებინეს მეტოქეს ცენტრიდან თამაში.

ანგარიში დიდხანს არ ჩანდა. ტაიმი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მაჩაიძემ დრო იხელთა და შორიდან ძლიერად დაარტყა – 1:0. სულ ცოტა ხნის შემდეგ არმიელმა ვ. ჩურკინმა კარგად შეარჩია ადგილი და ახლო მანძილიდან გაქვითა გოლი – 1:1.

როსტოველებს მატჩის წარმატებით დამთავრებისთვის მთელი ტაიმი ჰქონდათ წინ, მაგრამ მათი თამაში არც შესვენების შემდეგ გამოირჩეოდა მობილიზებულობით, 47–ე წუთზე ბოიჩენკომ ხელიდან გაუშვა ბურთი ყიფიანის დარტყმის შემდეგ, არეულობაში ძალიან უზუსტოდ ითამაშა ალექსანდროვმა და საკუთარ კარში გაიტანა გოლი.

დინამოელები დაწინაურდნენ, ხოლო, როცა გუცაევმა თავისი გარღვევის შემდეგ შეძლო მცველების მოტყუება და პირისპირ დარჩა კართან, ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ დინამოელები აიღებდნენ მათთვის უაღრესად საჭირო ორ ქულას. გუცაევმა გოლი გაიტანა.

არმიელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ იმავე ვ. ჩურკინმა მეორე ბურთი გაქვითა.

ვ. პაშჩენკო. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 16 ოქტომბერი, 1973 წ.